



შილა ვიურცბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის დიპლომი ბიზნესის ადმინისტრირებაში / Bachelor of arts (International Management)

ვიურცბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან (University of Applied Sciences Würzburg-Schweinfurt, Germany) თანამშრომლობა BTU-ს ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ერთდროულად ბაკალავრის ორი დიპლომის მოპოვების საშუალებას აძლევს და გერმანიაში ბოლო სასწავლო წლის გატარებას გულისხმობს.

ვიურცბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია (University of Applied Sciences Würzburg-Schweinfurt, Germany) დაარსდა 1971 წელს და ის ბავარიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტექნიკური უნივერსიტეტია. ვიურცბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს აქვს 50-მდე სასწავლო პროგრამა საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე.

ბადადი [ბმულზე](#) და მიიღე შეტი ინფორმაცია ვიურცბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდიდან.

პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობა: ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სტუდენტის აქტიური სტატუსი, ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე, წინა სემესტრებში ბტუ-ს შესაბამისი პროგრამით არანაკლებ 180 კრედიტის (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსში კრედიტის) დაგროვება. პარტნიორ დაწესებულებაში 1 ECTS=25 სთ. სტუდენტი, რომელიც ირჩევს აღნიშნულ ორ სადიპლომო პროგრამას, წინა სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

სწავლების ენა: ინგლისური

სწავლების ხანგრძლივობა: 1 წელი

მასპინძელ უნივერსიტეტში დასაფარი კრედიტების რაოდენობა: მინიმუმ 60 კრედიტი
პროგრამის საფასური: 300€

*შესაძლებელია მცირედით დაკორექტირდეს პარტნიორი დაწესებულების მოთხოვნის შესაბამისად.

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ:
international@btu.edu.ge